



CONSTRUCTION
MANAGEMENT
C O M P A N Y

სარჩევი

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.....	2
1. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად	2
2. ტექნიკური დოკუმენტაცია	2
3. ტექნიკური დავალება	4
4. სატენდერო წინადადების შეფასება.....	5
დანართი N1.....	6
დანართი N2.....	7
დანართი N3.....	11
ინფორმაცია პროექტზე მომუშავე სპეციალისტების კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ..	11

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1.1. პრეტენდენტს, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ გამოცდილების არეალსა და საანგარიშო პერიოდში (ბოლო 3 წლის განმავლობაში) უნდა გააჩნდეს ფაქტობრივად გაწეული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების/მომსახურების გაწევის გამოცდილება ჯამურად - არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი ლარი) ლარისა.

1.2. პრეტენდენტის საპროექტო და სამშენებლო ჯგუფის წევრებს, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებს/მომსახურებას (პროექტის მენეჯერი, არქიტექტორი, ხარჯთაღმრიცხველი და ა.შ) უნდა გააჩნდეთ პროექტირებისა და ანალოგიური სამუშაოების სრულყოფილად განხორციელებისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით უნდა წარადგინონ დოკუმენტები და ინფორმაცია:

2.1.1. ანალოგიური მომსახურების მიწოდებაზე გაფორმებული „ხელშეკრულებების რეესტრი“ დანართი N1-ის შესაბამისად (იხილეთ თანდართული). დანართში მოცემული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ:

2.1.2. დანართ N1-ში მითითებულ მინიმუმ 2 შემსყიდველთან/დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტებით შესაძლებელი უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების იდენტიფიცირება:

- დოკუმენტის დასახელება (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი);
- გაფორმების თარიღი;
- ხელშეკრულების საგანი (ობიექტის დასახელება, საერთო ფართი და სხვა);
- მხარეების (შემსრულებელი, დამკვეთი) დასახელება და საიდენტიფიკაციო

ნომრები;

- მხარეების ხელმოწერები და ბეჭდები (არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა:

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე დოკუმენტაციის 2.1.1. პუნქტის საფუძველზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოდგენს შემსყიდველის მხრიდან პრეტენდენტის კვალიფიკაციის და გამოცდილების შეფასების მთავარ ინდიკატორს, შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოყვანილი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს (ანუ ყალბი აღმოჩნდება), შემსყიდველი მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ამასთან, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2.1.3. პროექტზე მომუშავე საპროექტო ჯგუფის შემადგენლობა თითოეული სპეციალისტის და/ან კონსულტანტის ვინაობის, და სხვა ინფორმაციის მითითებით, **დანართ N3**-ის შესაბამისად. ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილი უნდა იყოს, მხოლოდ საკვანძო სპეციალისტები/კონსულტანტები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან პროექტის თითოეული მიმართულების სრულყოფილად შესრულებაზე.

2.1.4. საპროექტო ჯგუფის საკვანძო სპეციალისტების რეზიუმეები (CV), სადაც ნათლად იქნება დაფიქსირებული მათ მიერ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება და კვალიფიკაცია;

2.1.5. სატენდერო პაკეტთან ერთად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- სამუშაოების შესრულების მეთოდოლოგია
- მასალების სპეციფიკაცია
- სამუშაოების განხორციელების ხარჯთაღრიცხვა

სამუშაოების შესრულების ნაწილი

2.1.6. სავალდებულოა, რომ ტენდერის ყველა მონაწილემ დაათვალიეროს სამშენებლო უბანი, გაეცნოს სამშენებლო უბნის რეალურ პირობებს და არსებულ გარემოს, იმ მიზნით, რომ ყველა ფაქტორი იქნეს გათვალისწინებული მონაწილეთა ანგარიშებში.

2.1.7 ჩასატარებელი სამშენებლო და დიზაინის სამუშაოების სრული სპექტრი უნდა

ეფუძნებოდეს ხელშეკრულების ღირებულების „ფიქსირებული თანხის პრინციპს“ ე.წ. “Lump Sum”.

მონაწილემ სატენდერო დოკუმენტაციაში ასევე უნდა წარმოადგინოს

1. მშენებლობის წარმოების გეგმა -გრაფიკი
2. ფინანსური გრაფიკი
3. ქვეკონტრაქტორების ჩამონათვალი (არსებობის შემთხვევაში)
4. განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
5. დასტური, რომ ტენდერში მონაწილეს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ (საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლით)
6. დასტური, რომ ტენდერში მონაწილე არ იმყოფება გაკოტრების რეჟიმში
7. ცნობა სასამართლოდან, რომ ტენდერის მონაწილის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს სამართალწარმოება.
8. დასტური ბანკიდან, რომ ტენდერში მონაწილეს არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება.

2.2. სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად უნდა შეესაბამებოდეს „ტექნიკურ დავალებაში“ მოცემულ მოთხოვნებს;

2.2.1. პრეტენდენტი ვალდებულია ტექნიკური დოკუმენტაციის შემადგენლობაში შემავალი ყველა დოკუმენტი წარმოადგინოს PDF ფორმატში;

2.2.2. პრეტენდენტი ვალდებულია მის მიერ შექმნილი, ტექნიკური დოკუმენტაციის სახით წარსადგენი დოკუმენტები დაამოწმოს/დაადასტუროს ხელმოწერით

**ტენდერი გამოცხადდება CMC სატენდერო პლატფორმის www.tenderers.net ის საშუალებით.
წინადადების ატვირთვაც მოხდება აღნიშნულ პლატფორმაზე.**

ტენდერი გამოცხადდება - 16 აგვისტო 2024

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა - 26 აგვისტო 2024

3. ტექნიკური დავალება

3.1. გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება მოცემულია **დანართში N2.**



CONSTRUCTION
MANAGEMENT
C O M P A N Y

4. სატენდერო წინადადების შეფასება

სატენდერო წინადადების შეფასებისას ყურადღება მიექცევა, კომერციულ წინადადებას - ფასს და სრულ შესაბამისობას ტექნიკური დავალებასთან.



CONSTRUCTION
MANAGEMENT
C O M P A N Y

დანართი N1

ინფორმაცია

განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ

N	შემსყიდველი			ხელშეკრულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავებაზე			ინფორმაცია პროექტის შესაბამისად რეალიზებულ ობიექტზე	
	დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი/ტელეფონი)	თარიღი& N	ობიექტის დასახელება	განხორციელების პერიოდი	დასრულებულია, თუ არა პროექტი	საერთო ფართი
1	2	3	4	5	6	7	9	10
1								
2								
3								
...n								

ცენტრ პოინტი - სააკაძე

საპროექტო/სამშენებლო არეალი წარმოადგენს ქ. თბილისში, სააკაძის მოედნის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდით - **01.10.13.015.112**.

ტენდერის ფარგლებში აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე უნდა შესრულდეს ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები Design-Build პრინციპით, რაც გულისხმობს სრულ საპროექტო და სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებს/მომსახურებას ერთიანი კონტრაქტის ფარგლებში.

შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს ბლოკი IV-ის სახურავზე (სავარაუდო ფართობი - 795 მ²):

- რბილის სახურავის დაზიანებული ადგილების ამოჭრა და დამუშავება
- დაზიანებულ ზედაპირზე ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვის მოწყობა (3-5სმ-ზე)
- ქვიშა-ცემენტის ხსნარის ადგილზე მომზადება მ-100
- სახურავის ზედაპირის დასუფთავება და დაგრუნტვა პრაიმერით
- მასალის ატანა ამწეს გამოყენებით
- სახურავის მოწყობა ორი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალით
- პირაპირების დამუშავება ცხელი ბიტუმის მასტიკით
- პარაპეტის ქუდის მონტაჟი ლითონის ფურცლით, თავისი ჩამკეტებით და საცრემლეებით
- საჰაეროების ქუდების მოწყობა ლითონის ფურცლით
- სამშენებლო ნარჩენის დატვირტვა და ტრანსპორტირება 20 კმ მანძილზე.

საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია:

- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, დეტალურ დიზაინთან ერთად, უნდა მოიცავდეს შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალს და მოცულობებს, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციებსა და რაოდენობებს.

ვადები:

საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარულ დღეს.

შესყიდვის ობიექტის ღირებულება

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 61 000 (სამოცდაერთიათასი ლარი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

შენიშვნა:

1. აღნიშნული ობიექტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.
2. პრეტენდენტმა შემოთავაზებული ფასი უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

1. მშენებლობის ეტაპი

- 1.1 დამკვეთი ვალდებულია კონტრაქტორს გადასცეს სამშენებლო მოედანი .
- 1.2 კონტრაქტორის ვალდებულებაში შედის დროებითი და მუდმივი საკომუნიკაციო ხაზებზე დაერთების ხარჯები. მათ შორის წყალი, კანალიზაცია და დენი.
- 1.3 კონტრაქტორი ვალდებულია განახორციელოს ყველა სამშენებლო სამუშაო, მათ შორის ყველა საჭირო მოსამზადებელი და სამშენებლო უბნის საორგანიზაციო სამუშაოები.
- 1.4 კონტრაქტორის ვალდებულებაში შედის - საჯარო უწყებასთან, მათ წარმომადგენლებთან, მეზობლებთან და სხვა ნებისმიერ მესამე მხარესთან ურთიერთობის კოორდინაცია. კონტრაქტორის მხრიდან ნებისმიერ სამუშაოებთან მიმართებაში ამგვარი ურთიერთობები წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული დამკვეთთან ან მის წარმომადგენელთან.
- 1.5 კონტრაქტორის ვალდებულებაში შედის- დამკვეთის ინსტრუქციების შესრულება და მათი მოთხოვნის შესაბამისად გონივრულ ვადაში მათი საჭირო დოკუმენტების ან/და ინფორმაციით უზრუნველყოფა.
- 1.6 კონტრაქტორი ვალდებულია აწარმოოს ყველა მიმდინარე სამშენებლო დოკუმენტაცია
- 1.7 კონტრაქტორი ვალდებულია სამშენებლო უბანზე დაიცვას შრომის უსაფრთხოების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სტანდარტები საქართველოს კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით.
- 1.8 ნებისმიერი სამუშაო, რომელსაც კონტრაქტორი ახორციელებს ობიექტის საზღვრებს მიღმა მის დაწყებამდე უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან, მომიჯნავე ფართობის ან მიწის მფლობელებთან ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებთან. საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა იზრუნოს აუცილებელი ნებართვების მოპოვებაზე შესაბამის უწყებასთან

- 1.9 კონტრაქტორი ვალდებულია მოახდინოს ობიექტიდან სამშენებლო ნაგვის გატანა და შესაბამისი წესით გადაყრა.
- 1.10 კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთის მოთხოვნისამებრ წარმოადგინოს ნებისმიერი მასალის ნიმუში
- 1.11 დამკვეთის მიერ განსაზღვრული დეფექტებისა და ნაკლოვანებების გამოსწორება.

2. კომუნიკაციების დაერთება და კომუნალური გადახდები

კონტრაქტორი პასუხისმგებელია სამუშაოებისთვის საჭირო კომუნიკაციების დროებით დაერთებაზე. დაერთება და მასთან დაკავშირებული ხარჯები კონტრაქტორის ვალდებულებაა. კონტრაქტორი ვალდებულია აწარმოოს კომუნალური გადასახადების გადახდა მთელი სამშენებლო პროცესის განმავლობაში, საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე.

3. მშენებლობის გეგმა-გრაფიკი

კონტრაქტორმა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან მაქსიმუმ 2 კვირაში უნდა წარმოადგინოს დეტალური გეგმა გრაფიკი. გრაფიკი უნდა მოიცავდეს როგორც დიზაინის, ისე მშენებლობის ყველა ეტაპს და შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ხელშეკრულების პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან. გრაფიკი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს დამკვეთს.

4. „ფიქსირებული სახელშეკრულებო ღირებულება“

4.1 „ფიქსირებული სახელშეკრულებო ღირებულების“ პრინციპის თანახმად, კონტრაქტორის მიერ განხორციელებული სამუშაოები მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს პროექტის „მიზნობრივ დანიშნულებასთან“.

4.2 კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოები უნდა მოიცავდეს ნებისმიერ კომპონენტს, რომელიც აუცილებელია დასახული ამოცანის მისაღწევად.

5. საგარანტიო დაქვითვა

მიმწოდებელს შესრულებიდან დაექვითება საგარანტიო დაქვითვა 2.5 % ის ოდენობით, რომელიც დაუბრუნდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 180 კალენდარული დღის გასვლის შემდგომ.

6. დეფექტების გამოსწორების პერიოდი

დეფექტების გამოსწორების პასუხისმგებლობის პერიოდი განისაზღვრება 24 თვე, რომლის ათვლაც დაიწყება საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

7. ანგარიშსწორების პირობები

ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, მხოლოდ ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური ლაბორატორიის ან/და დამკვეთის მიერ შერჩეული საზედამხედველო ორგანოს მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2) და შესაბამისი საშემსრულებლო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

შენიშვნა: აღნიშნული სამშენებლო ობიექტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან, შესაბამისად ანგარიშსწორება მოხდება დღგ-ს გარეშე.



ინფორმაცია პროექტზე მომუშავე სპეციალისტების კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

No	სპეციალისტის თანამდებობა (როლი პროექტის შემუშავებაში)	სახელი, გვარი	განათლება, სპეციალობა და ხარისხი (ბაკალავრი, მაგისტრი) დიპლომის მიხედვით	სასწავლებლის დასახელება და დამთავრების წელი	სამუშაო სტაჟი (წელი)	
					საერთო	სპეციალობით
1						
2						
3						
4						
5						
n...						

შენიშვნა: 1. ზემოთ მოცემულ ცხრილს თან უნდა დაერთოს თითოეული სპეციალისტის რეზიუმე (CV), სადაც მკაფიოდ იქნება დაფიქსირებული მათ მიერ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება;

(პრეტენდენტის დასახელება)

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

(უფლებამოსილი პირის თანამდებობა)

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)